ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 46

22 იანვარი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

13:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, ბ. ფირცხელიანი, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე, ვ. ოთარაშვილი, ვ. ძნელაძე, მ. დარჩია.

მოწვეული სტუმრები:

1. ირაკლი თურმანიძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
2. ნინო გულბათაშვილი - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2020 წლის ანგარიშის განხილვა.

   მომხსენებელი: ბატონი ირაკლი თურმანიძე

   თანამდებობა: - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. მისი განმარტებით, კომისია დღეს განიხილავს ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2020 წელს განხორციელებულ ღონისძიებებს. დეპუტატმა კომისიის წევრებს მიმართა თხოვნით, მაქსიმალურად ჩართულიყვნენ განხილვის პროცესში და წარმოედგინათ კითხვები ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებით.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დამტკიცდა წევრთა მიერ.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დრექტორის მოადგილემ, ბატონმა ირაკლი თურმანიძემ. მისი თქმით, სამწუხაროდ, კოვიდ 19-ის გავრცელების გამო, სააგენტოს

წლის დასაწყისშივე მოუწია საჯარო საბავშვო-ბაღებში სასწავლო პროცესის შეწყვეტა და იგი მხოლოდ რამდენიმე თვე მიმდინარეობდა, თუმცა თბილისის მერის ინიციატივით, ბაღებში სასწავლო პროცესის შეწყვეტის შემდეგ, აღსაზრდელებისთვის დაიწყო საკვები პროდუქტების გაცემა. შესაბამისად, თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღები ორკვირაში ერთხელ არიგებდნენ არამალფუჭებად საკვებს და ეს პაკეტი შედგა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ნუტრიციოლოგის თანახმად. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ საკვების ჩამონათვალი სეზონის მონაცვლეობით პერიოდულად, იცვლებოდა.

ბატონი ირაკლი თურმანიძის განმარტებით, თბილისის საჯარო საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვის ერთ ეტაპზე საკვების დარიგების ხარჯი 1 800 000 ლარს შეადგენს, რაც მოცემული ეტაპისთვის 12 ეტაპად განხორციელდა. ბატონმა ირაკლიმ ასევე განმარტა, რომ მას შემდეგ რაც, უსწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ გადაწყვიტა სასწავლო პროცესის აღდგენა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა სახელმძღვანელო, რომელზე დაყრდნობითაც ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უნდა დაემტკიცებინა სხვადასხვა სტანდარტი, რომელთა საფუძველზეც უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის დაწყებას. იგი მოიცავდა, ინფრასტრუქტურულ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სხვა სტანდარტებს. სააგენტომ ჩაატარა რიგი სამუშაოები, რომელზეც გაიხარჯა დაახლოებით 5 მილიონი ლარი, რათა დაცული ყოფილიყო მოთხოვნილი სტანდარტები. კერძოდ, თითოული აღსაზრდელისთვის შეიქმნა მეთოდოლოგიური მასალები, რომელზეც დატანილი იყო ბავშვის სახელი, გვარი და სურათი, რათა გამორიცხულიყო შესაძლებლობა, რომ აღნიშნული მასალები სხვა რომელიმე ბენეფიციარს მიეღო. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ უზრუნველყო ბავშვების თეთრეულის გაწმენდა, დისტანციის დაცვით მოეწყო საბავშვო ბაღების ეზოები, ბაღების თანამშრომლები აღიჭურვნენ პირბადეებით, ხალათებითა და ხელთათმანებით. ბაღების შენობებში გამოიყო ცალკე ოთახი, სადაც დროებით თავსდებოდნენ ის აღსაზრდელები, რომელთაც აღენიშნებოდათ ტემპერატურის მატება. საჭიროებისას კი სააგენტო უკავშირდებოდა ბავშვების მშობლებს მათი ბაღიდან გაყვანის მიზნით.

ბატონმა ირაკლი თურმანიძემ აგრეთვე განმარტა, რომ თბილისის საჯარო ბაღების სამზარეულოებში მიიღეს ზომები, რომ ჭურჭელი 60 გრადუს ცელსიუსზე გარეცხილიყო, რაც უზრუნველყოფდა ბაქტერიების განადგურებას. თუმცა უსწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭოს ხელახალი გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მოუწია ბაღებში სასწავლო პროცესის განმეორებით შეჩერება და შესაბამისად, კვლავ განახლდა აღსაზრდელებისთვის პროდუქტის დარიგება. 2021 წელს უკვე გაიცა საკვები, მეორე ეტაპი კი - მიმდინარე თვეში დაიწყება.

ბატონი ირაკლის ინფორმაციით, 2020 წელს ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ დაასრულა ოთხი ახალი ბაღის მშენებლობა. სამწუხაროდ, პანდემიის შეზღუდვებიდან გამომდინარე, მხოლოდ ორი ახალი ბაღის გახსნა მოხერხდა. დარჩენილი ორი ბაღის მშენებლობა დასრულებულია, მაგრამ საწავლო პროცესი ამ ეტაპზე არ დაწყებულა. ამას გარდა, დასრულდა სამი საბავშვო ბაღის გამაგრებითი სამუშოები. ბატონი ირაკლის თქმით, 2019 წელს დაიწყო და წელსაც გრძელდება ცხრა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთაგან ნაწილი შეადგენს ახალ მშენებლობებს, ნაწილი - გამაგრებით სამუშაოებს, ნაწილი კი - ამორტიზირებული ბაღების ნაცვლად ახალი შენობების აგებას. ამ დროისთვის ცხრა ამორტიზირებული საბავშვო ბაღი უკვე დანგრეულია და დაწყებული სამი ახალი ბაღის მშენებლობა ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით. შესაბამისად, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ელოდება დამატებითი თანხების მოძიებას, რომ დაიწყოს სხვა ახალი ბაღების მშენებლობაც.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა მიმართა ბატონ ირაკლი თურმანიძეს და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიდგომა ძალიან კარგია, რადგანაც ბევრ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახს არ აქვს საშუალება ბავშვი სახლში სრულყოფილად გამოკვებოს. დეპუტატების თქმით, ცალკეული ოჯახები მთლიანად იყვნენ დამოკიდებული თბილისის საჯარო ბაღებში შვილების კვებაზე, სადაც აღსაზრდელები სრულყოფილ რაციონს იღებდნენ. ქალბატონი თინათინი დაინტერესდა, გაგრძელდება თუ არა აღსაზრდელებისთვის საკვების გაცემა სასწავლო პროცესის ვერაღდგენის შემთხვევაში და რამდენად არის მზად ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო უწყვეტად გააგრძელოს აღსაზრდელების საკვებით მომარაგება. საპასუხოდ, ბატონმა ირაკლი თურმანიძემ განმარტა, რომ ხსენებული ინიციატივა ეკუთვნის ქალაქ თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოც, საჭიროების შემთხვევაში, მზად არის კვლავ განაგრძოს საკვების გაცემა თბილისის საჯარო ბაღების აღსაზრდელებზე.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ აღნიშნა, რომ მსოფლიო კვლავ პანდემიის რეჟიმში აგრძელებს ცხოვრებას, რაც ართულებს ადამიანთა სოციალურ პირობებს. ამავდროულად, შესაძლებელია, რომ ზოგიერთ აღსაზრდელს, ოჯახის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ სჭირდებოდეს უფასო საკვების მიღება და მიზანშეწონილია მშობლების თანხმობით, კუთვნილი პროდუქტები სოციალურად შეჭირვებულ აღსაზრდელებს გადაეცეთ. ბუნებრივია, მუნიციპალიტეტი ვერავის დაავალდებულებს ამის გაკეთებას, თუმცა შესაძლებელია მშობლების ინფორმირება, რომ სინი უკეთ გაერკვნენ, თუ ვის უფრო მეტად ესაჭიროება უფასო საკვების მიღება.

კომისიის წევრის, ქალბატონი ანა ლაშხის თქმით, ხსენებული ინიციატივის განხორციელება აღსაზრდელების მშობლებზე ინდივიდუალურად არის დამოკიდებული.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ განმარტა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, გამოთქმული შესაძლებლობა აქამდეც არსებობდა თბილისის საჯარო ბაღებში, ანუ ზოგიერთი ოჯახი თავისთვის არ ღებულობდა გაცემულ უფასო საკვებს და საკუთარ წილს, გაჭირვებულ აღსაზრდელებს უთმობდა. თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია აღსაზრდელთა მშობლების თანხმობა. ამასთან, სოციალურად შეჭირვებული ფენის ოჯახებისთვის უფასო საკვებით უზრუნველყოფა ძალიან მნიშვნელოვანი დახმარებაა.

ბატონი ვლადიმერ ძნელაძე დაინტერესდა თუ საშუალოდ რამდენი აღსაზრდელი ირიცხება თბილისის ცალკეულ საჯარო ბაღში, რაზეც ბატონმა ირაკლი თურმანიძემ განუმარტა, რომ აღსაზრდელთა რაოდენობები ბაღების სიდიდის მიხედვით განხსვავდება, თუმცა ერთ ბაღში საშუალოდ 200-300 აღსაზრდელი ირიცხება. მისი თქმით, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს არ აქვს უფლება სოციალურად დაუცველ ბავშვებს მეტი ოდენობის საკვები გადასცეს, ან ერთი აღსაზრდელისთვის განკუთვნილი საკვები სხვას მიაწოდოს. თუმცა, როდესაც მშობელი ჩაიბარებს მისი შვილისთვის გამოყოფილ პაკეტს, მას თავისუფლად შეუძლია შემდეგ იგი სხვას დაუთმოს.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა საკითხთან მიმართებით აღნიშნა, რომ თუკი ერთი აღსაზრდელისთვის გამოყოფილ საკვებს სხვა ბავშვის მშობელი წაიღებს, ეს მშობლებს შორის გაუგებრობას გამოიწვევს.

ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ ოჯახებისთვის, რომელთაც აქვთ საშუალება გადაიხადონ სწავლის საფასური, საბავშვო ბაღის სერვისებით მომსახურება ფასიანი უნდა იყოს. მოსაზრებას გამოეხმაურა ბატონი ირაკლი თურმანიძე, რომელმაც განმარტა, რომ თბილისის საჯარო ბაღების მომსახურების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, მათზე მოთხოვნა ძალიან მაღალია და ამიტომ, ბაღების 90% აღსაზრდელებს ვერ იტევს ბაღების ჯგუფებში. აქედან გამომდინარე, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ შექმნა სარეზერვო ჯგუფები, რეგისტრაცია ელექტრონულად მიმდინარეობს, რომ ჩასარიცხი აღსაზრდელების რიგი მოწესრიგებულიყო გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის. რამდენადაც თბილისის საჯარო ბაღებზე მოთხოვნა იზრდება, იზრდება აგრეთვე ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წლიური ბიუჯეტიც, რომელიც მოცემული მომენტისთვის, 143 მილიონ ლარს შეადგენს. ბუნებრივია ეს ბიუჯეტი მოიცავს ინფრასტრუქტურულ

პროექტებსაც, მაგრამ ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 127 მილიონი ლარი, გამოყოფილია საჯარო ბაღების ოპერაციული ხარჯებისთვის. ამიტომ, მოსაზრება, რომ თბილისის საჯარო ბაღების მომსახურების ცალკეული ნაწილი ფასიანი გახდეს შეიძლება არსებობდეს. რამდენადაც სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, დაწყებითი განათლება უფასოა, შესაბამისად, საბავშვო ბაღების განათლების კომპონენტი უფასო უნდა დარჩეს, თუმცა სხვა მომსახურებაზე, თუნდაც კვებაზე, სხვა ქვეყნების პრაქტიკას თუ გავიზიარებთ, შესაძლოა დაწესდეს შესაბამისი გადასახადი.

კომისიის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ 2012 წელს მმართველმა სახელისუფლებო გუნდმა მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ სკოლამდელი განათლება უფასო ყოფილიყო, რაც თავისთავად მოიაზრებს კვების თანხას და საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ანაზღაურების კომპონენტსაც. საბავშვო ბაღის სერვისებს თანაბრად ინაწილებს ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი ბავშვი, რომლებიც სარგებლობენ ბაგა-ბაღების მომსახურებით და დღეს საჯარო ბაღები ნამდვილად უდიდეს კონკურენციას უწევს კერძო საბავშვო ბაღებს. ქალბატონი თინათინი ასევე გამოეხმაურა აღსაზრდელებს შორის საკვების გადანაწილების საკითხს და განმარტა, რომ რამდენიმე მშობელს პირადად მასთან მიაქვს საკუთარი წილი პროდუქტები, რომელთაც იგი შემდეგ სოციალურად შეჭირვებულ ბავშვებს გადასცემს. ამიტომ, როდესაც არსებობს მშობლების კეთილი ნება, ხსენებული პროცესის მუნიციპალიტეტის დონეზე დამატებით მოწესრიგება აღარაა საჭირო.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა გულია გოცირიძემ აღნიშნა, რომ თბილისის საჯარო ბაღებიდან გაცემული საკვები პროდუქტების სხვაგვარად გადანაწილება მიზანშეუწონელია, და რომ მშობლების ნებასურვილზეა დამოკიდებული მიიღებენ მათი შვილებისთვის განკუთვნილ საკვებს თუ სხვა აღსაზრდელების სასარგებლოდ დათმობენ. მისივე თქმით, საქართველოს პრემიერის, ბატონი გიორგი გახარიას ინიციატიივით, პანდემიის პირობებში ბავშვებზე გაიცა 200 ლარიანი ერთჯერადი დახმარება. ამ შემთხვევაშიც, ზოგიერთმა ბავშვის მშობელმა არ აიღო აღნიშნული დახმარება, ვინაიდან მათ ამის საჭიროება არ ჰქონდათ.

ქალბატონმა ანა ლაშხმა და ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ აღნიშნეს, რომ წამოყენებული წინადადება ეხება საკვები პროდუქტების შეჭირვებულ ბავშვებზე გადანაწილების წახალისებას და არა მშობლების იძულებას, რომ მათი შვილის საკვები სხვებს გადაეცეს. აქ მთავარია, რომ მშობლები, რომლებსაც სურვილი აქვთ სხვა აღსაზრდელებს დაეხმარონ, ინფორმირებულები იყვნენ, თუ კონკრეტულად რომელ ბავშვს სჭირდება ასეთი დახმარება.

კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა, გასაცემი საკვების რამდენი პროცენტი რჩება გაუცემელი, რაზეც ბატონმა ირაკლი თურმანიძემ აღნიშნა, რომ საკვების გაცემის პროენტი ძალიან მაღალია. თუკი სასწავლო პერიოდში აღსაზრდელთა სწრებადობა 50-60%-ს შორის მერყეობს, გასაცემი პროდუქტის მოკითხვიანობა და გაცემა 80-90%-ია.

ქალბატონმა გულია გოცირიძემ დაინტერესდა, მოხდა თუ არა თბილისის N89 საბავშვო ბაღის დემონტაჟი, რაც 2020 წლის დეკემბრისთვის იგეგმებოდა. ბატონმა ირაკლი თურმანიძემ განმარტა, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, რათა დაედგინა შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული ბაღის გამაგრება, ან ექვემდებარებოდა თუ არა დემონტაჟს. ექსპერტიზის ბიურომ დაადგინა, რომ საჭირო იყო ბაღის გამაგრება და არა დემონტაჟი. შესაბამისად, სააგენტო აღნიშნული ბაღის გამაგრებით სამუშაოებს დაიწყებს, როგორც კი სააგენტოს ბიუჯეტში მოხდება შესაბამისი თანხების მობილიზება.

ბატონი ვაჟა ოთარაშვილი დაინტერესდა აღსაზრდელებისთვის გაცემული საკვები ერთეული პაკეტის ღირებულებით. ბატონმა ირაკლი თურმანიძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო წლის განმავლობაში ტენდერის მეშვეობით შეისყიდის შესაბამის მომსახურებას, ამასთან თბილისის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე ცალ-ცალკე კომპანებმა გაიმარჯვეს ტენდერში. 2020 წლისთვის საკვების ერთი პაკეტი 30-33 ლარის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო წელს ეს ღირებულება 40-44 ლარის ფარგლებში განისაზღვრა. ჯამში, ერთ ჯერზე, გასაცემი საკვების ღირებულება 1 800 000 ლარს შეადგენს. მისივე თქმით, ვინაიდან სასწავლო პროცესი შეწყდა, აღსაზრდელებისთვის გასაცემად შეირჩა არამალფუჭებადი ინგრედიენტები, კერძოდ, ბურღულეული, რძის ნაწარმი, ცხოველური და მცენარეული ცხიმები და სხვა.

ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა ასევე დაინტერესდა შემოწმებულია, თუ არა ბავშვებისთვის გასაცემი პროდუქტების ხარისხი, რასთან დაკავშირებითაც ბატონმა ირაკლი თურმანიძემ განმარტა, რომ შესაბამისი კომპანიები ვალდებულნი არიან პროდუქტის ბაღში შეტანამდე, წარმოადგინონ პროდუქტის წარმომავლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიკატი. ამასთან, საკვების ხარისხს შერჩევითი პრინციპის გათვალისწინებით, პერიოდულად ერთობლივად ამოწმებენ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მონიტორინგის სამსახური და სურსათის უვნებლობის სააგენტო. მონიტორინგის დროს მოწმდება პროდუქტის ხარისხი და მისი შენახვის პირობები.

ბატონი ვაჟა ოთარაშვილი დაინტერესდა თბილისში საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის მაღალი ტემპის გათვალისწინებით, შენდება თუ არა საკარისი ოდენობის

საბავშვო ბაღები. ბატონმა ირაკლი თურმანიძემ განმარტა, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს პერიოდულად აანალიზებს თბილისის რომელ რაიონში უფრო დიდია ბაღებზე მოთხოვნა და მიმართავს ქონების მართვის სააგენტოს, რომ სწორედ აღნიშნულ რაიონებში გამოიყოს მიწა ახალი ბაღის მშენებლობის დასაწყებად. ბუნებრივია, საჯარო საბავშვო ბაღებზე მოთხოვნა თბილისის ყველა რაიონში მაღალია, მაგრამ გლდანსა და ვარკეთილში უფრო მეტი მოთხოვნაა. წელს გლდანში 2 ახალი ბაღის მშენებლობა, ხოლო ვარკეთილში 1 ბაღის მშენებლობა დასრულდა. ბაღებში ადგილების ნაკლებობის პრობლემა კვლავაც აქტუალურია დედაქალაქის ცენტრში მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. დღეს მოქმედი ინფრასტრუქტურული სტანდარტების მიხედვით, მაღალსართულიან კორპუსში არ შეიძლება საბავშვო ბაღის განთავსება. ბაღის მშენებლობისთვის ცალკე გამოყოფილი უნდა იყოს 3-4 ათასი კვ.მ მიწის ნაკვეთი, მსგავსი ფართობის მიწის ნაკვეთის მოძიება კი დედაქალაქის მჭიდროდ დასახლებულ ცენტრში სირთულეს წარმოადგენს.

ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა ახალი მშენებლობის დაწყებისას უნდა გაითვალისწინოს საბავშვო ბაღის მშენებლობის საჭიროება. შესაბამისად, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ ხსენებულ სასახურს უნდა აცნობოს, რომ პირობითად კონკრეტული ობიექტის აშენებისას იქვე აუცილებელია საბავშვო ბაღის განთავსებაც.

ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ განმარტა, რომ თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური დედაქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმაზე დაყრდნობით ახალი მშენებლობის დაწყებისას ითვალისწინებს მოსახლეობის საჭიროებებს, მათ შორის, რეკრეაციული ზონების მოწყობას, მედიათეკის განთავსებას, საბავშვო ბაღების მშენებლობას და სხვ. თუკი ადრე არქიტექტორი მშენებლობას განცალკევებულ პროექტად აღიქვამდა, დღეს მიდგომა განსხვავებულია. თუმცა დედაქალაქის მუნიციპალიტეტს არ შეუძლია კონკრეტული ძველი სამშენებლო პროექტების დაკორექტირება, ან ახალი ვალდებულების დაკისრება, რადგან მათზე მშენებლობის ნებართვა წლების წინ გაიცა. თბილისის მერიის მხრიდან მსგავსი ჩარევისას, პროექტის მფლობელი მიმართავენ სასამართლოს, იგებენ დავებს და შედეგად, თბილისის მერიას უწევს სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხების კომპენსაციის სახით გადახდა.

კომისიის თავმჯდომარემ კვლავ მიმართა ბატონ ირაკლი თურმანიძეს და ჰკითხა იგეგმება, თუ არა დამამთავრებელი ჯგუფების აღსაზრდელებისთვის სკოლისათვის მოსამზადებელი პროგრამების დისტანციურად მიწოდება, რასთან დაკავშირებითაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის

სააგენტომ იმსჯელა ამ საკითხზე, საჯარო ბაღებში დანერგილია სასკოლო მზაობის პროგრამა, რომლის ფარგლებში ბავშვები სკოლისათვის ემზადებიან და უნარებს ეუფლებიან. სააგენტოს კომუნიკაცია ჰქონდა როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მისი თქმით, ამ ტიპის მეთოდოლოგიის შემუშავებას დიდი რესურსი და დრო სჭირდება. სამწუხაროდ, სააგენტო საკუთარი სახსრებით აღნიშნულს ვერ უზრუნველყოფდა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდანაც არ ყოფილა ინიციატივა და ნაბიჯი, რომ ხსენებული მეთოდოლოგია შემუშავებულიყო. ამიტომაც, სააგენტო დამოკიდებულია სასწავლო პროცესის აღდგენაზე. თუმცა მზად არის სწავლის განახლებისთანავე, ინტენსიურად იმუშაოს ბავშვებთან, რისთვისაც თანამშრომლებს უკვე ჩაუტარდათ ტრეინინგები.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ ირაკლი თურმანიძეს ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2020 წლის ანგარიშის წარმოდგენისთვის, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
თინათინ ნიბლოშვილმა, ირაკლი თურმანიძემ, ვლადიმერ ძნელაძემ, მარიკა დარჩიამ, ანა ლაშხმა, გულია გოცირიძემ, ვაჟა ოთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი

თ. ნიბლოშვილი